



ქართული, 5 ივლისი | მიიღება ხელმოწერა 1915 წ., თებერლი და ცხოვრებამა-ზე | № 27 — 1915



აქარელი ქართული მაკმადიონები
 შუა აქარაში, ბორჩხასა და მარადილს შუა მდებარე სოფ. ინკირვეთის შკხოვრებნი. ამ ადგილებს ედემის მსგავსი ბუნება აქვს. მცხოვრებნი რაინდი და ყოჩალი ხალხია.

ხართუხის საზოგადო კლუბი

მახვილის
პრ. № 131

საუცხოეო საზაფხულო როტანდია, სტენია და მშენებელი, ელექტრონიტ განათებული, ბ. დით.

- შაბათს,
4 ივლისს
- კვირას,
5 ივლისს:
- ორშაბათს:
6 ივლ.
- სამშაბათს
7 ივლ.
- ოთხშაბათს
8 ივლ.
- ხუთშაბათს
9 ივლ.
- პარასკევს
10 ივლ.
- შაბათს,
11 ივლ.
- კვირას
12 ივლ.

ორკესტრი

მანდოლინისტების გუნდი

სინემატოგრაფი; საზანდარი

ორკესტრი

სინემატოგრაფი და ორკესტრი

საღამო, სამეზიანი ორკ. და მანდალ. გუნდი

წარმოდგენა

ორკესტრი

მანდოლინისტების გუნდი

დასაწყისი ხელმოს 8¹/₂ საათზე.

შესავალი ფასი: მამაკაცი იხდაან—30 კ. ქალები და სტუდენტები—15 კ.

ივიღებ

თეატრი და ცხოვრება 1914 წ.

მთელი წლისა (მე-ნე ნომრიდან) 4 მ.
ფასდადებითაც ვაიგზავენება. მისამართი:
Тифлисъ, ред. „Театри да Цховре-
ბა“ Юс. Имедашвили. (10—1)

კამოდის ორშაბათობით

„ახალი კვლევა“

გაზეთი ღირს: ერთი წლით 2 მ. და 50 კ.,
ნახევარი წლით—1. 50 კ., ერთი თვით—20 კ.
ცალკე ნომერი—ერთი შაურტი.

რედაქციის ადრესი: Кутаисъ. Типография
Перадзе и Карнаухова для „Ахали Квали“
ფულის გამოსაგზავნი: Кутаисъ. Тип.
Перадзе и Карнаухова. Севериану Нико-
лаевичу Бахтадзе.

1 თებერვლიდან ქ. ქუთაისში გამოდის
ახალი გაზეთი

ს ა მ შ ო ბ ლ ო

ფასი: ერთი წლითი წლით 8 მან. ნახევარ-
წლით 5 მან. თვით 80 კ. ცალკე ნომერი
5 კ. დამატებიანი—7 კ. ესევე გაზეთი დაუ-
რიგდებთ იმერეთისა ხელის მომწერლებს.
წერილები და ფული იგზავნოს შემდეგის
მისამართით: ქუთაისი, რედაქცია „სამშობ-
ლო“ თბილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.
გაზეთს ყოველ კვირა ექნება სურათებიანი
დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდე-
ბულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.
ესთხოვეთ ოპში დაჭრილთა და მოკლულთა ნა-
თესავე-მეგობრებს მოგვეწოდონ მათი სურათები.
ესთხოვეთ აგრედვე ადგილობრივ დაწესებულე-
ბათა და საზოგადო მოღვაწეთ გვიგზავნონ
სურათები.

მოწვეულნი არიან ცნობილი და საუკეთესო
მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ ღვე-
ებში გამოცხადდება.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე



№ 27

წელიწადი
8 მ ს ა მ ე

წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალ
კე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სო
რაპანის“ სტამბაში. მისამართი: Тифლისь
Ред. „Театри да Цховреба“ I. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდე-
ბა. — ხელთნაწერები საპირობისამებრ შეს-
წორდება. — რედაქტორთან პირისპირ მო-
ლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის
კანტორაში — დილით 9—2 ს., საღამოთი
5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 27

კ ვ ი რ ა , 5 0 3 ლ ი ს ი

1915 წ.

5 0 3 ლ ი ს ი

ბუნებამაც სხვისა მაცხოვნებე-
ჩვენზე მოიცალა! ლი—მოკვდა უცხოვნე-
ბელიო! — სწორედ ჩვე-
ნზე ითქმის...

ჩვენი რჩეული ვაჟაკობა, სოფლის მუ-
შა თუ ნასწავლი ხალხი სხვისი ბედნიერების-
თვის იღვწის, სხვის ბედ-ვენახებსა და სამრე-
წველოებს აყვავებს, ხოლო თვით იგი-კი
წელში გაწყვეტილია, ყოველმხრივ დაწიხ-
ლული...

განა გლექსკაცს ადამიანური ცხოვრების
უფლება აქვს? განა იგიც „კაცთა შორის
კაცადაა მიჩნეული?“

არ არის და აგერ ბუნებამაც სასტიკად
დასაჯა...

თმა გებურძგნება, ტანში ყრუანტელი
გიელის, როდესაც გაზეთებში კითხულობ,
შეუჩერებელმა წვიმა ნიაღვრებმა რაოდენი
ზარალი მისცა ქართლ-კახეთს და ბოლოს
დასავლეთ საქართველოში წყალდიდობამ
რა საზარლად გაანადგურა მთელი მხარე ჩვენი
მრავალ-ტანჯულ სამშობლოშია...

ბუნების მეფედ მიჩნეული ადამიანი თა-
ვის სარჩო-საბადებლით ბუნებამ სათამაშო
ბურთად აქცია...

ასე მოუვა ყველას, ვინც შეგნებითი
თვითმოქმედების უნარს მოკლებულია, ვისაც
თავისი მიწა-წყლის მეცნიერების თანამედროვე
მოთხოვნისამებრ შემუშავების ნაცვლად
კანცელარიებში მუშაობა მიუჩნევია სამჯო-
ბინაროდ...

დაიარეთ ჩვენი ქვეყნის რომელი კუთ-
ხეცა გნებავთ, —სავალალო სურათს წარმოად-

გენს: არსად როგორც გზა-ხიდები, არსად
გარკვეული რუ-არხები, არსად ხელოვნური
საგუბარ-აუხები, კიდე-ყურები, არსად ადა-
მიანის მიზან-შეწონილი ნამუშავეარი ბუნების
ძალთა თავის სურვილისამებრ მოსახმარად, —
ერთხელ როგორც დაუდგია გზა ღვართქაფს —
ის არის და ის: ზაფხულში დაშრება —ვის | რას
ავნებს, გაზაფხულზე იმატებს და მაშინ —ადა-
მიანი უღონოა...

ხალხი უბატრონოდაა, სოფელი ღვთის-
ანაბრობაზე მიტოვებული ..

მოწინავე, თვითმოქმედ და სიცოცხლის
მონატრე ერნი ჰაერში დაფრინავენ, ზღვასა
და ზღვის გულში წარმოობენ, ლამის ციურ
წნათობთაც დაეუფლნენ, ხოლო ჩვენს ბეჩაფ
გლექსკაცსა და საერთოდ ჩვენის ქვეყნის ყალ-
ბად აღზდილ „ნასწავლთაც“ —კი ისიც ვერ
მოუხერხებიათ, სახლი როგორ აიშენონ, სა-
ნიაღვრე არხებს რა მხრით მოუარონ, წყალს
რა მიმართულება მისცენ, მამულის მთა-გო-
რიან მდებარეობასა და ბუნების ცვალებო-
ლობას როგორ შეეგუონ, რომ მუდამ „უბე-
დური შემთხვევ-ს“ მსხვერპლნი არ გახდნენ...

ცხოვრებაში გამოსადეგი სწავლა-ცოდ-
ნით დაწინაურებულ ქვეყნებში დიდი წყლე-
ბი (უცებ მოვარდნილი ნიაღვრებიც-
კი) თუ ერის გამდიდრების წყაროდ შექმნი-
ლა, ჩვენს ქვეყანას იგი დამლუპველ-დამთ-
ქმელად ევლინება!..

მერე ვფიქრობთ რამეს ხალხის საკე-
თილდღეოდ?

როგორ არა: სწორედ მაშინ მოვიფხანთ ხოლ-
მე კისერს, როდესაც საერო-საქვეყნო უბედუ-
რება გვეწვევა და ხელს გავიწოდებთ სამათხოვ-

როდ, არიქა შემოგვაწიეთო,—რას იხავთ, ჩვენ ხომ საერო ფონდი არა გვაქვს, შავი ღლისთვის შენახული თანხა, რომ ასეთ და კიდევ სხვა, მოსალოდნელ საჭიროებისათვის მოვიხმაროთ?.. უფრო ხშირად-კი ჩვენი საზოგადოების მოწინავე პირნი მართებლობას შეჭაღადადებენ: გვიშველეთ, გვიწყალობეთ რამეთო!..

თუნდა მართებლობა დაგვეხმაროს კიდევ, იმდენი რა უნდა მოგვეცეს, რომ გლეხის ოჯახს ემკურნალოს? უფროშ-კაპეიკო საქველმოქმედო საზოგადოებამ, რომელიც მხოლოდ ახლა აგროეებს შემოწირულებას, იმდენი რა უნდა შეაწიოს კერა-დანთქმულ ხალხს, რომ წყლული დაუამო! განა მილიონობით ზარალს ასითა და ათასი თუმნით ანაზღაურებთ?!

ხვალ და ზეგ რომ იგივე განმეორდეს?

და განმეორდება კიდევ, რადგან იმის ნაცვლად, რომ ჩვენი შვილები საკუთარი მიწა-წყლის მკოდნე—მომვლელად აღვზარდოთ, თავის სოფელთა გამამშვენიერებლად,—თავისუფალ პროფესიის ხალხად—სხვადასხვა ჯურის «მოსაქმედ» ვზრდით..

აი, ყველაზე უფრო საშიშარი ნიავედვარი ჩვენი ერისა!..

ზედისზედ მომსქდარი უბედურება გვცდის: სიცოცხლის მოსურნენი ვართ თუ «სამარისკენ ფეხი გაგვიშვებია?»

ქირში ნაწრთობი ჩვენი ქვეყანა დამტკიცებს, რომ სწორედ ასეთ უბედურ შემთხვევიდან წამოდგება ფენიქსებრ განახლებული..

ჩვენ კი არ ვიღუბებით, არამედ აღორძინებისაკენ ხელი გაგვიშვებია..

დაე, ამ უბედურმა შემთხვევამ კიდევ ერთხელ ჩავინერგოს გარემოკრებისა და ერთობის გრძობა.. დაგვიტკიცოს, რომ საჭიროა ცოცხალ ძალთა მომზადება და საერო თანხის შედგენა ასეთ შემთხვევათა დასაძლევად..

ღღესღღეობით-კი ბუნების სიმძაფრისგან თავზარდაცემულ, დაზარალებულ ხალხს, რა თქმა უნდა, ყოველი ადამიანი, ჩვენი ქვეყნის ყოველი შვილი და საზოგადო-საფინანსო დაწესებულება საჩქაროდ უნდა შეეწიოს, რითაც

კი შეიძლება: პურით, საცმელით, ექიმობით, ფულით თუ სხვა გზით, —მაგრამ ეს შეწყენა უნდა იყოს არა ქალაღდზე წარმოებული, არამედ ნამდვილად განხორციელებული..

ხოლო უფრო მეტად გემართებს გამოცდებნოთ ის ღონისძიებანი, რომელთა საშუალებითაც შეგვეძლოს სრულიად თუ არა, რაოდენადმე მაინც ავიცდინოთ ხოლმე ბუნების მოვლენათა სიმძაფრე..

ქართველო ხალხო! ბედი გცდის და ვინძლო ყოჩაღად შეხვდე!..

ღეღა—შვილი

(ძღვნათ აქარელ-მაჰმადიან ქართველებს)

—ღედიკო, ღეღა, გვიშველე!
 ბუღეს გვინგრევენ ქორები:
 სულ აგვიოხრეს სამყოფი,
 ჩვენი კეკლუცი გორები.
 არ გვაყენებენ მტარვალნი
 მშობელი ქვეყნის უბეში:
 გვღეღნიან, გვჟღეტენ, სისხლს გვწოვენ,—
 არ არის ჩვენთვის ნუგეში..

ღედიკო, ღეღა! ხომ გესმის
 შენი შვილების წივილი,
 დაქრილთა კვნესა მზარავი,
 წყლულთა უთქმელი ტკივილი?!

—ვაი თქვენს ღეღას, შვილებო!
 მესმის—და გული მიკვდება..
 შვილებზე ღედის ძრწუნვასა
 სხვა ვერვინ, ვერვინ მიხვდება!..
 მესმის—და მინდა მოსისხართ
 ბრძოლით შევაკვდე ბაკმა,
 რომ თქვენთან ერთად მიმხვერპლოს
 მეც თქვენმა ბედმა მწარემა!..

და იწვეს ღეღა შვილთაკენ,
 სურვილით ფერი ეცვლება,—
 მაგრამ გზადაგზა ბრძოლაში
 თვით მასაც სისხლი ეცლება..
 სურს ჩაიკონოს გულ-მკერდში,—
 შვილთა ნუგეში სწყურია..
 მაგრამ ჯერ მათთვის ნუგეშათ
 მხოლოდ მტრობა და შურია..

სილოვანი



მგოსანი ი. გრიშაშვილი და მწერალი კაპ. ავ. აბესაძე (დაჭრილი მარცხენა ფეხში), კისდოფოდსკში.

აკაკის სული

ყველა იმ მგოსნის სულები, რომლებიც ჩიტებივით ლაღად, ძალ-დაუტანებლივ ჰგალობენ და აღიდგენ ტურთა ცა-ქვეყნის შემოქმედს — ჟამიერი სიცოცხლის შემდეგ სამოთხის ნაცვლად პარნასისკენ მიჰქროლავენ...

აკაკის სულიც გაჰფრინდა იმ მთისკენ და წარსდგა აფროდიტეს წინაშე...

ჩვეულებრივად აპოლოლო ჰღებულობს ხოლმე ახალმოსულებს, მაგრამ ამ ჟამად იქ არ იყო, დიანასთან ერთად კანჯრებზე წასულიყო სანადიროდ...

აფროდიტემ ვერ იცნო აკაკი... გაკვირვებით შეჰხედა... პარნასელებმა კარგად იცოდნენ, თუ ქვეყნად რომელი და რამდენი მგოსანი აჟღერებდა ქნარს მშვენიერების სადიდებლად და აკაკი არა ჰყოლიათ სათვალავში...

— ეს რა მატრაკვეცა ვინმე ყოფილა — გაიფიქრა ღია-ღმერთმა და უნდოდა ფაენებისათვის ებრძანებინა, რომ აკაკი სხვა ჯაგლაგი პოეტებისავით სულ კინწის კვრით გაედევნათ პარნასიდან, მაგრამ მისმა ვერცხლებრივ მბზინავმა იმამ, განიერ-ქვიანმა

შუბლმა და ნაღვლიანმა თვალებმა შეაჩერეს... მოწიწება და მოკრძალება რამ იგრძნო მისდამი...

— მოხუცო, თქვენ ალბათ სამოთხისაკენ მიზრძანდებოდით და გზა აგერიათ. ჩაბრძანდით ცოტა ძირს.. მერვე ცაშია ის მოთავსებული — თ ვაზიანად მიჰმართა აფროდიტემ...

— ეს მერალამდენე ცაა? — თვისი ჩვეულებრივი ტკბილი ღიმილით შეეკითხა აკაკი.

— მეცხრეა... პარნასია აქ აღმართული.

— მეც სწორეთ მანდ გიახლებით... მართალი გითხრათ დიდ ბედნიერებად არ მიმჩნია თქვენი პარნ.სი... არ მიყვარს მაღალ უარდებში აწევა.. მაგრამ ბევრი რამ დამაბარა ჩემმა მშობელმა ერმა აქ განსვენებულ მგოსნებთან და იმიტომ ამოველ ამ სიმაღლეზე, თორემ ჩემთვის სულ ერთია სადაც უნდა ვიყო.. ყველგან შევიძლებ ჩემი ღმერთის თაყვანს... სანთელ-საკმელი გზას არ დაჰკარგავს...

— უკაცრაოთ, თქვენი სახელი!..

— აკაკი!..

— მგოსანი ბრძანდებით?

— დიახ... მგოსანი — „გარკმაკების სუკვირი, ხან მაწისა ვარ, ხან ტისა“.

— არასოდეს ვაგვივია თქვენი სიმღერა...

ყველა ჰანგები, რომელნიც კი აჟღერებულან მგოსანთა მადლიან ჩანგზე მშვენიერების ღმერთთა სადიდებლად — მყის პარნასისკენ ამოკისკისდება ხოლმე...

თქვენ კი მგონია ერთხელაც არ უნდა გეთქვათ ბავშვთა ტიტინსავით უღარდელი და სუმბულის ფოთლების თრთოლსავით უიდუმალესი მელიოდიები...

თქვენთვის უცხო უნდა იყოს ის ამოუცნობელი, მაგრამ ტკბილი ჰანგები, რომელსაც ვარსკვლავნი აწერიან ლაქვარდის ქნარზე სივად გაბმულ მთვარის სხივებზე...

— სრული სიმართლე ბრძანე, მშვენიერო აფროდიტავ!

„ჩემს ჩანგს უმხით არასოდეს უჟღერია, ჩემს ობოლ გულს ტკბილად არ უძგერია...“

ან სად მეცალა, შე გასახარელო, ამ უხე-
ნავსი გრძნობებისათვის, როდესაც ჩე-
მი „სუფიკო“, ჩემი „ტა-ფირუხ-სმელეთ-სურ-
მუსტი“ მამული ივარქმნილია.. მას დაე-
ტრიალებდი... მისს გუშავობაში დღე და
ღამე მქონდა გასწორებული.. სად მეცალა
უნისლო, ტკბილ ხმათათვის, როდესაც ნი-
ათ გამოღეულ თანამემამულეთა გასამხნევებ-
ლად და გასაფოლადებლად ომანხიანად ვაყივ-
ლებდი დაფსა და ნალარას...

— ვერ გამოგია, — გააწყვეტინა აკაკის
აფროდიტემ, რომელიც ჩვეული არ იყო ასე-
თი ჩივილის მოსმენას — თუ პარნასელთათვის
არ გეცალა, ნუ თუ სატრფო მაინც არა
გყვანდა, რომ მისადმი მაინც მიგეძღვნა
წმიდა ლოცვა, ნარნარი საგალობელი?..

— როგორ არა მყავს, ქალო, ნუ თუ
ვერ მიმიხვდი

„ჩემი სატრფო ვინც არი?
ძველი ტურფა დღეს მკვლარავით მიძინარი,
ფეს-შიშველი, თავზე ღეჩქა-სსდიდი;
უგრძნობლად ჭეფთვს სწუჯას სდათას
ძილი ..“

— ჰოო, ეხლა კი მივხვდი. თქვენი
მღერის საგანი მამული ყოფილა.. რა ჰქვი-
ან ამ თქვენს სატრფოს?

— საქართველო.
— საქართველო.. რა ვქნა, არც ეს
სახელი გამოგია...

მოიცა... მოიცა.. რალაც მაგონდება...
უფრო ივერიის სახელით იყო თქვენი ქვე-
ყანა ცნობილი არა?.. ვიცნობ... ვიცნობ
საქართველოს.. დასწყველა ზევსემ, როგორ
გადამავიწყდა!.. აღბათ გულიდან იმიტომ
გადამავიარდა, რომ კარგა ხანია რაც იქიდან
არავინ გვსტუმრებია.. ერთ დროს კი ივინი
შოთას მეთაურობით შესანიშნავად გვიგალო-
ბებდნენ.. სილამაზე ჰქონდათ გაღმერთებუ-
ლი.. ფილოსოფოსი პლატონის თქმისა არ
იყოს — მათი სიცოცხლე „შეება იყო მშვენიერე-
ბაში“

საშუალო საუკუნეებში აღმოსავლეთის
ქრისტიანებიდან მხოლოდ ქართველები აწკ-
რიალებდნენ ქნარს ჰელლინური გრძნობით..
ცხოველ-მყოფელი მიჯნურობის ცრელებით

ჰრწყავდნენ და აღაღანებდნენ მშვენიერების
უქკნობელს წალკოტს...

თვით ბერძნებიც კი... ჰეზიოდის, ჰომი-
როსის, პრაქსიტელესის, ფიდიუსის ნაშეირი
ბერძნებიც კი ისე დაქინდნენ, რომ მესვე-
ტბივით გაუბობდნენ ჩვენზე ფიქრს, ვით
ემშაკეულს...

დიდებული რამ იყო საქართველო...
ყველაფრით სახელოვანი და მდიდარი:
პოეზიით... მხატვრობით... ხუროთ-მოძღვ-
რებით, ბუნებით... ტურფა ქალწულებით...
მამაცი, გულ-კლდოვანი ვაჟაკებით ..

იაზონს ჯერაც არ ჩაჰქრობია გულში
მედვას სიყვარული, თუმცა ამ უკანასკნელ-
მა უგასაგისოდ დასაჯა იგი პატივმოყვარეო-
ბისა და გაარმეებისათვის...

ოღისეიც ხშირად ნეტარებით იგონებს
კეკლუც კოლხეთს, სადაც ტურფა ცირცვია
გულ-გაშლილობით და მოყვარულობით გაუ-
მასპინძლა დიონისოსაგან დაყენებულ ღვი-
ნის ქაშნიკით.

ისეთი მომხიბლავი, ისეთი გრძნული
იყო ის დასაქცევო — იტყვის ხოლმე ოდი-
სეი — რომ კინაღამ არ დამიმონავა და არ
გადამაფიქრებინა ტროასკენ გალაშქრებო.

ბევრი, ძალიან ბევრია მოხიბლული სა-
ქართველოს ცისარტყელოვანი წარსულით.

ეხლა კი ეხლა... რა დაჰმართნია?.. რას
მიუზინდავს და მიუქნინებია?..

აღარც კი მეგონა, თუ კიდევ არსებობ-
დით...

საქართველოდან უკანასკნელად ბარათა-
შვილი გვეწვია, მაგრამ ისიც ვერ იქნა ვერ
მივიკარეთ და ვერ გავამხიარულეთ...

რამდენჯერა სცადა ბესიკმა თვისი მუ-
ხამბაზებით და შიქსტებით გადაეყარა მისი
სახიდან კაეშნის ნისლი, მაგრამ ამოდ: ოდ-
ნავაც ვერ გააღიმა. სულ მარტოდ მარტო
იარება შავით დათაღხული და სჩივის სუ-
ლის ობლობას...

— რაცა სიტყვით საქართველოს წარსულ-
ზე, ხალასი ქეშმარიტებაა...

ეს არც ისე გასაკვირველია, ვინაიდან
ეს ის დრო იყო, როდესაც:

„...საქართველოს ვოკელ კუთხით
მოკუჯან თავი ექნას,

იღხენდენ და გაჭკოაღენ
ერთხმად „მრავალ-ჟამიერსა“.
და მართლად რამ ჭეშქვინოდათ
მაშინ იმათ ეს მოაღხენა,
რადგან იმ დროს გადმოსული
იყო ქართლზე მადლი სენა.

გარე მტერი და არგუნიკი
შუღლს მათ ვეღარ უტედავდა
და შინაგან მშვიდობასაც
უინ იყო, რომ ვერ ჭეხიდავდა?..

ამთა გუდი უს რადათ
პატონს და უმას, უგუდას ერთად,
კაცსა კაცად ფასებდენ,
ადიდებდენ დიქრთას დიქრთად...

ასეთი იყო ერთ დროს საქართველო, მაგრამ მუხთალ ბედს შეჰპურდა მისი ბედნიერება... ამოიღო თვალში და ერთი დღე არ მიუტია მოსვენება...

მარტო თემურ-ლენგმა და შაჰ-აბაზმა რაც ველურობა ჩაიდინეს ჩვენში, იმას ჯოჯოხეთის ელჩები ვერ შესძლებდნენ...

მაგრამ, თურმე, ეს დვთის წყალობა ყოფილიყო იმ საშინალებასთან, რაც შემდეგ გვაწვენვია ტიალმა ბედმა...

შავ და უკულმა ის 1795 წელიწადი, როდესაც ალა-მაჰმად-ხანმა კრწანისის ველზე დაამარცხა ქართველი მხედრობა — ქართლის ბედიც — მაშინ გადასწყდა საბოლოოდ. დაეკანა ვაგლახის დაღმართზე და სად, როდის შესწყდება ეს უკულმართი სრბოლა — არავინ იცის... არავინაა გამკითხავი... არსაიდანა სჩანს... მუქაფის მიმზღვევი.

— მემრე სადაა გულადი, შემმართველი ქართველობა? რატომ არ ჰხედავს შემადრწუნებელს ყოფას?.. რატომ გიორგი სააკაძისავით მეხთა ქეხებით არ დაატყდება მუხანათ მტერს და არ ანანებს გაჩენის დღესა?..

— ეჰ, საცოდავს ხალხს რა მოვთხოვო, როდესაც ის ბნელშია... განუქვრეტელ ბნელში... მართალია ჰგონობს უსამართლობას... ჰგმინავს გულის, საკლავად, მაგრამ ბრძოლა ვერ მოუხერხებია... დაუძღურებულა მეტის მეტი ვაებისაგან... გადამღვრძალი...

აფროდიტე უზომოდ დაანაღვლიანა ამ ამბავმა... ცრემლებით ავესო მარად მოციხარე თვალები..

— უნდა უწველოთ... უეჭველად უნდა უწველოთ საქართველოს. . მაგრამ როგორ?.. ვის მეუხებით?..

მოდი ფერიებს გაუგზავნი... იგინი ტკბილი გალობით და მოქნილი ცეკვით გაუქარვებენ ნადველს . გაუხალისებენ სულს...

— ცრემლებით გათანგულ ხალხის გულს ვერ ჩასწვდება უცხო ფერიების იღუმალი გალობა, — მიუგო აკაკიმ...

— თავ სიანს გაუგზავნი... თუნდა ბარათაშვილს.. დაე, ის წაუძღვეს ბნელში მავალთ ნა-ელ ქვეყნისკენ...

— ბარათაშვილი თვისი უსასოო ლექსებითა უარესად და ნაღვიონებს და დაჩრჩილავს მათს სულს..

— მაშ შოთას გაუგზავნი...

— ვაგლა!.. შოთა ვეღარ იცნობს აზრილითა სამეფოდ ქცეულს მამულს და ვერცა სცემს მზიურს ნუგეშინს...

აფროდიტეს უეცრივ ლ. მაზმა აზრმა გაუბრწყინა სახე და წარმოიტყე :

— წყვილიდით შესულდულს საქართველოს ეკირვება მზე... და ამ მზედ გადაგაქცევ შენ, დიდებულო აკაკი!..

სიცოცხლეში ხომ ლ. მპრ დ ნთებულხარ შენის ქვეყნს საკურთხეველზე და დაე ახლაც შენმა ქათქ თმა გააშუქოს ჩაწყვილიაბული მხარე. . ამოაშროს ქსანტობები. . ააყვავილოს გადახრუქუ ი მიდამოებ... ალაგზნოს შემოქმედებითი ცეცხლით ქართველთა გულნი, რომ კვლ ვ იწყონ მშვენიერების ქებათა ქება...

მართლაც მოხდა სასწაული...

ზღვის შხეფე სავით უანგარიშო სხივებმა კისკასად გაცქრილღს საქართველოსკენ, მოეფინენ დამზრალ-მოშუშულ მდებლოებს... უსაზღვრო სიყვარულით ეამბორნენ ღონემიხდილ მიჯალასტულ ხალხს და სასოებით გაუბრწყინეს მღულარე ცრემლებით დატრიალებული თვალები...

.....

მოვიყაროთ მუხლნი მზის წინაშე... ის აკაკის სულია... იგი გვიცინის, გველამუნება აღერსიანი კაშკაშით...

მარად ნორჩი და უკვდავი ჩვენც მოგვანიჭებს მარადიულს ლამაზს სიცოცხლეს...

დ. თურდოსპირელი



დასის მოგზაურობა

(გაგრძელება. იხ. „თ.და ც.“ № 25)

III

პეპელა ქათამაძე უმრწემესი მსახიობ-ქალი იყო №-ს დასისა, მაგრამ საზოგადოების ყურადღებას თანდათან იპყრობდა. დასში მას უფრო გაიანეს ეძახდნენ, რადგან ოთარბეგის აღმასრულებელი ხშირად ეხუმრებოდა: „მალა-მალაღია, ტანადი... მისი თვალები? არა, თვალები არ უფარვა, დედოფალო!.. და გულიანად გაიცინებდა. პეპელა კი მორცხვად მილულავდა გრძელ წამწებებიან შავ-თვალებს და ცოტა კეკლუტობით, მაგრამ საკვირველის თავმდაბლობით, თითქო ემოწმებოდა ოთარბეგს: — დიად, თვალები არ მიფარვაო. რეჟისორს კი უხაროდა: ძლიერ ერთი მალა-ტანინი ქალი არ გაგვიჩნდა დასშიო!

თვითონ პეპელა მართლაც და ძალიან მცირე აზრის იყო თავის თავზე. ჯერ თითქმის ცხოვრებაში გამოუსვლელი იყო და მისი სილამაზის ქებით არც თუ იმდენად იყო განებივრებული. დასში ხუმრობით, მაგრამ თითქმის ყველა დასცინოდა — ეგებ ლამაზი გგონია შენი თავიო!.. ბ. გაუმადლარიც თავის რეცენზიებში მის სახე-პირზე კრინტსაც არა ძრავდა. ხშირად უღმობელათაც ექცეოდა. განსაკუთრებით, როდესაც რომელიმე არის. ტოკრატის ქალის როლი ჰქონდა დაკისრებული: — აბა რა მისი საქმეა ფრანგი მარკიზის ქალის განსახიერებო!

და პეპელასაც იმდენად აღარა სწამდა მისი მიზიდველობა. დასშიაც ყველას იმიტომ უყვარდა, რომ უბრეტენზიო, მორიდებული და ჩუმი მუშა იყო. ნიქსაც გახეთქებში არც თუ იმდენად უქებდნენ და ამ მხრივაც თავის

თავზე რიგიანი წარმოდგენა არ ჰქონდა. არა ჰქონდა თავის თავის რწმენა. საამისოდ არავინ აგულიანებდა და ხშირად ექვით მოპყრობილს, თუმცა მხოლოდ მეორე სეზონი იყო სცენაზე, დაბადებია მოურვენელი სურვილი, რომ სცენისთვის თავი გაენებებინა. მხოლოდ თუ კიდევ მუშაობდა თეატრში იმის გამო, რომ ექვი, იმედინი ექვი მაინც უღვივოდა გულში. „რინ იცის“ო, ფიქრობდა და თან გასამხნეველად ისიც ჰქონდა დარჩენილი, რომ მის მუდამ კოხტა ჩაცმულობას ყველა აქებდა. თვით გაუმადლარმაც კი უხსნა ეს ნიქი კეკლუცად მოკაზმვისა. პეპელაც გადაღეული იყო ამისთვის. ბუნებით თანდაყოლი ჰქონდა მეტი ნაზი გემოვნება ჩაცმადახურვისა და ეს თვისი ნიქებულება გარეგანის მხრივ შეჰქონდა ყველა თვის როლში. სულ უბრალო ტანისამოსიც რომ ჩაეცვა, ყოველთვის განსხვავებული, თავისთავადი და მოხდენილი იყო მისი მორთულობა.

არც თავისი გვარი მოსწონდა პეპელას და როდესაც პირველად დასში შევიდა, კინალამ აკრემლდა კიდევ ამის გამო. მით უფრო, როდესაც თვით უეჭისორმაც შეტისმეტ პროზაიკულად ჩასთვალა გვარი „ქათამაძე“.

— უთუოდ რაიმე ფსევდონიმი უნდა დაირქვათო. — შესთავაზა მან.

ბევრი თავი იმტვრიეს რეჟისორმა და პეპელამ — ცოტა ხეირიანი გვარი მაინც გამოგვონებინათ, პეპელას წინაპართა საცხოვრებელი სოფელიც-კი გაიხსენეს — „ხვიჭკიანი“ მაგრამ არც ეგ გამოადგათ. „ხვიჭკელი“ როგორღაც უღაზათო გამოდიოდა.

ბოლოს სუფლიორ ვარლამს წამოცდა: — მოდი, გუბაზოურელი იყოსო.

საიდან მოიტანა ეს სახელი?

— რაღაც ამგვარი გამიგონია, მგონი გურიში წყალს ჰქვია სახელათო... მმ... გუ-ბა-ზო-უ-რე-ლი?!

ყველას მოეწონა: მძლავრია, მსუქანი, ყვირის!

სასცენოა ნამდვილად. შესთანხმდნენ

და იმ დღიდან არის მოკვლინა ჩვენს სტენას—

პეველა გუბაზოურელი.

რამდენი სიცილი იყო შემდეგ დასში ამ გვა-რის შესახებ. რა კალამბურები! ერთხელ კინაღამ, ახლა ამისთვისაც, აატირეს პეველა. მაგრამ რეჟი-ოორის ავტორიტეტულმა ხმამ ყველანი და-აწყნარა და პეველასაც შეწუხების ცრემლნი მოსწმინდა.

აი, ამ ახალგაზდა მსახიობქალთან უნდა

მიეტანათ იერიში, როგორც თვითონ ამბობდენ სამოგზაუროთ შეთქმულებს: სოსოს, ანდროს და ვარლამს.

— ძმა არ გამოუშვებსო! — ამტკიცებდა ანდრო.

— რას ქვია არ გამოუშვებს? სულ ჩა-ვუმტრევ მის ტელეგრაფის აპარატებსო! — ბაქი-ბუქობდა ვარლამი.

გვარამია

(გაგრძელება იქნება)

ა ლ მ ო ს ა ვ ლ მ თ ი ს მ უ ს ი კ ა

ალ. ოგანეზაშვილი



სოფანდუხელი, ამიდახვარ. ნაუშე-ვის შვილი, შვი-ლის წლისამ დაიწ-ყო ნაღარაზე დაკე-რა, შემდეგ დაი-რაზე დაძღვრებით, ბოლოს თარზე და-ახლა ჭიანჭურსა და-ადმოსავლეთის სხ. სკანკაეებზე (რომ-ლებიერ კავკასიაში არტკია) უკრავს. სწავლა შინაური აქვს მიღებული (დე-და ადრე გარდაე-ცვალა) და თვი-

ხელგანანი მეჭიანჭურე ალექს. ოგანეზაშვილი

სით შეისწავლა ადმოსავლეთის მუსიკა. მონა-წილეობდა თბილისის, ბაქსა და კავკასიის სხვა ქალაქებში გამართულ დიდს კონცერტებში, რის გამო ადგილობრივ თუ სატანტო ქალაქთა გასუთებში ქებით მოახსენიებდენ, ამიანობას რომ ხელი არ შეეშალა—რუსეთის ქალაქებსა და სასაღვარჯართად იწვევდენ მას. დასწერა თათრულად: მაქრა ჟაზრბატ და შირინ (ბაქო-ში სამჯერ წარმოადინეს), ქართულად—თარ-სა და ჭიანჭურზე დაკრის თეორია ნოტებით (დღემდე არა უოფილა დაწერილი). მან შემოი-ღო ნოტებით თარზე დაკვრა, ასე რომ უკვლას შეუძლიან ნოტებით შეისწავლოს თარსა ან ჭიანჭურზე დაკვრა. ამ ჟამად სწერს ადმოსავ-ლეთის მუსიკის შესახებ წერილებს.

ო რ ი მ ო ნ ა დ ი რ ე

(ხალხური)


ორ მეგობარ მეფეს თითო კარგი მონა-დირე ჰყავდათ. ერთხელ მეგობრები ნადიმად ისხდენ და თავ-თავის მონადირის ქებაში იყვენენ; თითოეული მათგანი თავისას აქებდა და მათ პირველობას ერთი მეორეს ჯარ უთ-მობდა. რადგანაც საქმე ასე გაქიანურდა, გადასწყვიტეს: სანადიროთ გავგზავნოთ, და რომელი მათგანიც დანიშნულ ნადირს ტყავს მოგვიტანს—პირველი ის იქნებაო.

იხმეს მონადირენი და უბრძანეს: „წა-დით და შავ მთაში რომ თეთრი დათვია, მისი ტყავი მოგვიტანეთ. რომელიც ტყავს მოიტანს—მას უხვი წყალობა მიენიჭება, რომელაც არა—სიკვდილით დაისჯებაო“.

მონადირენი ჩაცვივდენ საგონებელში, მაგრამ რაღას იზამდენ—წავიდნენ.

მიუახლოვდენ თუ არა შავ მთას, დათვის კვალი ნახეს,—მთისკენ მიდოდა. დადგენ ერთ ალაგს და დაიწყეს დავა: —არა, ჩემ მე-ფეს ეკუთვნის ტყავი და არა ჩემსაო. ამ ჩხუბზე მათ ერთი მგზავრი მიაწყდა. მგზავრი შეეკითხა ჩხუბის მიზეზს და როცა გაიგო საქმე რაშიც იყო, გაციინა და უთხრა: „და-თვის ნათესაურზე ერთმანეთს რა თავს აკ-ლავთ, ჯერ ტყავი იგდეთ ხელში და კუთვ-ნილებზე მერე ილაპარაკეთო“.

ჭიჭიკო



ეს ხალხი წევს და იცოხნის — კუჭი მაძლარი ჰქონია! —
დამწვარი ჩვენი თეატრი აშენებული ჰგონია!..

მ უ მ ლ ი

1

შენ წასვლის დროს მუშლი მომე
და მითხარი: „საყვარელო!

ესაც ჩემებრ შევივლომე,
ვინძლო ისე ასახელო,

როგორც თვით მე პატივს მცემო:

და თუ წერილს — ცრემლით ნაწერს —
ვერ მიიღებ დიდის ხნობით:

გადახედე მაშინ ამ მწერს,
გადახედე თანაგრძნობით

და ყველაფერს გეტყვის, ჩემო...
2

მუშლი მოკვდა... მუშლის ლეში
ისევე ისე ძვეს უბრუნელად;
მე კი სიკვდილს სიცოცხლეში
ვებრძვი, ვებრძვი ასახსნელად

და ვერ ავხსენ საიდუმლო.

არც სატრფოსგან ვიღებ წერილს,
ხომ არ იცი, მუშლო, რატომ? —

მე გიყურებ ფრთებ-დაშვერილს...

მე დაგხედე მარტოს მარტომ

და ყველაფერს მიეხვდი, მუშლო.



ბაასი აჭარელთან

21-ს ივნისს, კვირა დღით ვისარგებლე
შემთხვევით, სულის შემსუთავ მძიმე, ტუფიანსა-
ვით ნოტიო ბათუმის ქაერს თავი დავახწიე და
აგარაკ ციხის ძირისაკენ გავეშურე. თვით ქ-
ბათომი და მისი ახლო-მასლო მდებარე ადგი-
ლები ზაფხულდობით ცუდ ზიარბებშია, რადგან

გარშემო ბევრგან ჭაბუბია, საიდანაც ჯანის
მანებელი ოსშივარი ადის... სულ სხვაა რკინის
ტრის გაუფლებასზე მდებარე ადგილები: მახინ-
ჯაური, მწვანე კონცხი (Зеленный мыс),
ჩაქვა, ბუკნარი, ციხის ძირი და სხ... აქ მოე-
ლი არე-მარე ადამიანის კულტურას ან ხელს
აუფავილებია და ედემისთვის დაუ სვავსება.
თვით ეს ადგილები მალდობია და განუწყვეტ-
ლივ მაგრიდებელი სიო ჭქრის და სიტკბოების
ნიქტარს ადგიძდავთ სხეულში!..

მატარებელში ერთ აჭარელს მოვკარი თვა-
ლი, ცნობისმოყვარეობამ გამიტაცა — გამომე-
კბახა რამე...

— ს: დაური ხარ, ძმობილო? — ვკითხე

— მაჭახელელი.

— სახელი, გვარი?

— ოსმან გიორგაძე.

— თქვენც ხომ არ დაზარადათ ომისა-
გან? შევეკითხე კვლავ.

— ჩვენამდის აღარ მოახწია ოშმა, სე-
მოურში ვცხოვრობთ, მაგრამ ჩვენი მესობელი
— ქვემო აჭარლები დიდათ დაზიანდენ.
ბევრმა მოყვარეობით ჩვენ შემოგვყარა თავი...
და დღეს-კი დაუბრუნდნენ თავიანთ სახლებს,
მაგრამ სახლებში კი არაფერი დახვდათ, ყველა-
ფერი დამწვარ-წამხლარია...“

— საქართველოდან თქვენ მოძმე ქრის-
ტიან ქართველებისგან დახმარებას ხომ დებუ-
ლობენ?

— როგორ არა... — დიქრთმა ააშენონ ისე-
ნი — კაია, რომ ამისთანა გაჭირვებისას დაგვე-
ხმარენ. — დიდი უბედურობა დატრიალდა ქვე-
მო აჭარაში — განაგრძო გიორგაძემ: — რამდენიმე
სოფელი გაიქრა და ჭროხის გაღმა სოფელ
გ — შეაფარა თავი... რუსის ჯარს ოსმალოს
„ჩეტნიკები“ ეგონა და ის იყო მეორე დღეს იერი-
ში უნდა მიეტანათ და ზარბაზნები დაემხათ,
ეს გაიგეს იქაურებმა, იმ დამეს ერთი ახალ შე-
ნელი ახალგაზდა გამომარედიყო ბათუმს და
ეამბნა იმ დროს ბათუმში მყოფ დემუტატ ჩხენ-
კელისთვის, რომელსაც ეს ამბავი მოკესნენების
კომენდანტისთვის. კომენდანტს საჩქაროდ შე-
ეკრებინა ჯარი და ის იმადგინა სული ხალხი გაწ-
ვეტის გადარჩა... მოაჯირი — ზ — ფაშა დაბრუნ-

ბრძოლის ველზე



ჯ. - კ. ივ. ნახუციანი
ნახუციანი, სარიყამიშთან ბრძოლის დროს, 21 დეკ. მოკლული.

ვ. მიქუტიშვილი
ჭარის-კაცი (დაჭრილი)

ნ. მიქუტიშვილი
ჭარის-კაცი (დაშავებული)

ფერ. მ. გ. ნიკოლაიშვილი
დაჭრილია, წევს მოსკოვის ერთ-ერთ ლაზარეთში.

და სტამბოლიდან 3-4 წლის წინეთ, სოფელ ქ—ს მშენებელი სახლ-კარი მოაწყო და დასასხლ-და ცოლშვილით, ახლა არაფერი იცის ცოლ-შვილი და თვითონ სად არიან... დაჩნდა 80 წ. მოხუცი, რომელიც გოდრით უტარებდათ გაქცევის დროს და რაი ზიდავა გასჭირვებათ, დაუგდიათ გზაში. იგი ჭარის კაცებს ისევე თავის სახლში მოუყვანიათ და თან ერთი შავი ზური მიუციათ, რომლითაც თურმე ბევრ ხანს იკვებებოდა და დღესაც ცოცხალია—მომსწრე ბევრი უბედურებისა... ამ უამად ქვემო აჭარაში ვინც დაჩნდილიყვნენ—სახლგაზღვანი, რომელთაც მუშაობდა და ახრადის ტარება შეუძლოთ, ეგვიპტის რუსის მთავრობამ წაასხა—გზები უნდა გაუკეთებინათო გვითხრეს... წაიგინე (წერილი) არ მოსდის არაფერს—არ იცინა სად არიან, სამეტანათ სწუხან ბედანანი და მოხუცნი...

ტ. ინას—რიძე

ეპიტაფია

უსამართლობის ცხოვრების ზღვაში შენ გერგო წილად მხოლოდ ტანჯვები და იმ ტანჯვების უღმერთობაში კაცთა სიივის მწარე ეპეები არ შეჰხებიათ შენს კეთილ გულსა, რომელშიაცა მძიმე სიყვარულსა ერთო უსრეტი წმინდა ლამაზი, ის ანათებდა შენსა წასრულსა—ამით იქნები დაუვიწყარი... და შენს სიცოცხლეს უბედოს, მწარეს, ძეგლი ხსოვნისა დავსვენება, და შენს მოწყენილს, ღარიბ სამარეს კურთხევის ცრემლი დაეწვეთება!..

გ. მ. შარვაშიძე

მწირო-სარდალი

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 25)

მართა ცოტა მოიცა კიდევ მაქვს რაღაც შენთან სათქმელი..

ნინო გვიგვიანდება: ჩემი ძმა გველის, მძიმედ დაჭრილი, და მთელი ჯარიც ჩვენ გველოდება!..

მართა (მწარე დიმილით) განა არ ვიცი? გელოდებიან

შენ ძმა და ჯარი; შენც გეჩქარება: ძმას დაამშვიდება, ჯარს გაამხნევებს და სხვა-კი აბა რა გენადლებს?.. გივი ხვალ ბრძოლის ველს მოაშურებს; შენი გულისთვის მტერს შეაკვდება

და მე აქ სევდა შემშლის კკუიდან,
მაგრამ შენ აბა რა გენაღვლებო?...
გავა დრო; მტერი ან გვძლევს, ან
დავძლევთ;

ჩვენი ქვეყანა კვლავ დამშვიდდება;
შენ ახალგაზრდა უზრუნველ გულსაც
ეს ყველაფერი დაავიწყდება;
ნახავ სხვა ვაჟკაცს, გივიზე ლამაზს,
და ახლა იგი შეგიყვარდება;
ის თანაგიგროძობს,—შენსა შევინებას
ვერც მისი გული გაუმაგრდება
და ბედნიერი რომ თვით იქნები,
სხვას რას დაეძებ, რა გენაღვლებო?..

ნინო ოჰ, კმარა, კმარა!.. ნულარა
მტანჯავ;

ნუ შეურაცხყოფ ჩემ წმიდა გრძობას
და ნუ შებღალავ უღირს ექვეებით
ჩემ გულწრფელობას, უანგარობას!..
შენც ხომ ოთარი მარტო გიყვარდა;
მხოლოდ მას უძღვევ სული და გული
და რად გგონია, რომ შენისთანა
არ შემიძლიან მეც სიყვარული?..

(ტრუმღმორეული)

მითხარი მაინც, რით დაგარწმუნო,
რომ ჩემი სატრფო და საყვარელი
მხოლოდ გივია; ისევე იქნება;

ის, პირველი და უკანასკნელი?..
გონდა, წავიღეთ ახლავ საყდარში
და შემოგფიცავ ჯვარსა და ხატზე,
რომ არაოდეს, გარდა გივისა,
არც კი ვიფიქრო მე სხვა ვაჟკაცზე;
რომ მას, მარტო მას, ჩემი ქალობა,
ჩემი სიცოცხლე შეეწირო სრულად
და, თუ მართლა ის მოჰკვდა ამ ომშივე,
სამარადისოდ დავრჩე ქალწულად!..

მართა (მღელვარებით) კარგი, წავიდეთ,
მაგრამ, შითხარი,

რა საჭიროა ფიცის დადება?..
თუ მართალია, რომ გივის გარდა
შენ აღარავინ შეგიყვარდება;
რომ ცოცხალს, თუ მკვდარს,
შენი ქალობა

საუკუნოდ მას შეეწირება,—
აქვე, ახლავ, ბარემაც ჯვარი
თქვენ დაიწერეთ და ის იქნება!..

ფიცს არ აჯობებს, რომ სამუდამოდ
წმიდა გვირგვინით შეუერთდები
და არა მარტო ფიქრით, ოცნებით,
ნამდვილად მისი ცოლი გახდები?..
ეგებ ღმერთმა ჰქნას და მისი შვილი
მაინც მაჩვენოს, მის დამკარგველსა!..
ოჰ, მცირედ მაინც შევიმსუბუქებ
მაშინ, ბედკრული, მწარე ნაღველსა!..
ნინო (აღშფოთებით) მართა, შენ ხუმ-
რობ, თუ მართლა ამბობ?
ან მცდი, თვალთმაქცობ?..

მართა რა მეხუმრება,
შეთვალთმაქცება, როდესაც გულში
მთელ ჯოჯოხეთის ცეცხლი მეგზნება?..

ნინო მაშ, ახლა რა დროს ჯვარის წერაა!?

მართა რა უღროვოა?.. ხეალ, შეიძლება,
მოჰკლან კიდევაც!.. თუ... გეშინიან,
რომ მალე გელს შენ დაქვრივება?..

ნინო კარგი, თანხმა ვარ! აღარ დავეძებ,
გულკეთილობა, თუ ბოროტება
გალაპარაკებს; ან სევდისაგან
ხომ არ შეგერყა მართლაც გონება?..
(მოშორდება სანქაროდ, მართაც უკან მიჰქუება,
ერისთავი, გივი და მსახურნი შემოდიან. ნინო
მიჰკვიდება ხელს გივის და მღელვარებით ერის-
თავს)

მამა, დაგვლოცე,—ახლავ ჯვარს ვიწერთ!
თვითონ მართამაც ასე ინება;

მეც ასე მინდა და, ალბად, გივიც
წინააღმდეგი არ შეიქნება!..

(ერისთავი, გაცნებული, უფურებს ჯერ ნინოს
და შემდეგ მართას)

მართა (ნაძალადეგ სიმშვიდით). დიად,
რომ გივი აღკვეცილიყო

ხვალ ბერად იყო გადაწყვეტილი;
მაგრამ, რადგანაც ომში ისტუმრებთ,
დაე, წავიდეს, ჯვარდაწერილი!..

ერისთავი ძალიან კარგი!..
(ღოცნავს ნინოსა და გივის) ღმერთმა
აკურთხოს

ეს უცებური თქვენი ქორწილი!
ღმერთმა გისმინოთ და ავისრულოთ
ყოველი თქვენი ნატვრა-სურვილი!..

მართა (ხელს მიჰკვიდება ნინოს და გივის)
აბა, წავიდეთ! ალბად, ჯერ კიდევ

საყდარში არის თვით წინამძღვარი
 და მე თვითონვე მიგიყვანთ მასთან
 და ვთხოვ, ახლავე დაგწეროსთ ჯვარი...
 (მიდიან. ერისთავი დაჟდება და, ჩაიქრებულები,
 კრიალასანს ათამაშებს. დადამდება და მთვარე
 გამოანათებს. რამდენისაშე სნის შემდეგ მოის-
 მის აჩქარებული ფეხის სმა და შემოვარდება
 თავშიშეგლი და თმა ჩამოშლილი მართა)

ერისთავი (შეშინებულად) რა ამბავია?!

მართა (აჟაფრებს) რა ამბავია?..

რაც ამბავია, არ იცი, განა?!

(ერთ წერტილს მიაშტერდება და, მთვარის
 სხივებით გაშუქებული, უოველ სიტყვის გავრ-
 ძელებით და თან ხელების შლით)
 გაპქრა წყვილია; ცოურ სინათლით
 გაბრწყინებული მთელი ქვეყანა!
 აღარ მოისმის კენესა-ტირილი
 და ნეტარება სუფევს ყველგანა!..
 შეწყდა სისხლის ღვრა და უხარიან
 დიდსა და შვირეს; ქაბუეს და ხნიერს!..
 დასრულდა ტანჯვა, გათავდა გლოვა
 და ქორწილია: გივი ჯვარს იწერს!..
 გივი ჯვარს იწერს და ცოლად ირთავს
 ერისთავის ქალს, ნინოს, მშვენიერს!..
 გივი ჯვარს იწერს!..

(გადიხარხარებს) ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!
 სხვა რაღა უნდა დედას, ბედნიერს?!

(წასვლას აპირებს)

ერისთავი (ტანჯვით) მართა სად მიხვალ?..

მართა (მოუბრუნდება) როგორ თუ სადა?!

არ უნდა უთხრა, მაშ, ჩემ ოთარსა,
 რომ ჩვენი გივი დაგვივაჟკაცლა
 და, ბედნიერი დღეს იწერს ჯვარსა?!

გივი ჯვარს იწერს და არ ვახარო
 მაშ, ეს ამბავი მთასა და ბარსა?!

(გადიხარხარებს) ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!..
 (გაიქრება ხარხარით)

ერისთავი (მსახურთ) არ გადიჩეხოს
 ეგ უბედური სადმე ხრამ-ხევში!
 (მსახურნი უკან დაუდევნებიათ. ერისთავი ცისკენ
 ხელებ-აშურობით)
 ღმერთო, ამ ქვეყნად შენ მოგვაველინე,
 ჩვენი ბედიც შენ გიპყრია ხელში!..

(მართას ხარხარი უფრო და უფრო შორიდან
 მოისმის)

ფარდა
ღუბუ მეგრელი
 (შემდეგი იქნება)

არის თუ არა ქართული თეატრი—ქართული?

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 25)

პირიქით, თუ შორს წავაღვარ არის იგი—
 ქართ. თეატ. თვით სცენიურ საშუალებითაც კი. დღე-
 ვანდელ დღეს გამოყვებული ზღასტიკა, კილო,
 ინტონაცია, რიგი-სტილი არ არიან ქართულ
 დედა ძარღვზე სსხმულნი. ქართულმა სცენამ
 ვერ შესძლო ქართველ ღადაიანის სხეულის მოძ-
 რაობის შესწავლა, ამ მოძრაობის ძირითად
 რიტმის განსილვა-გამოცნობა და ქართულ ელ-
 ფერთი მოცულ ზღასტიკის შექმნა სცენაზე.
 შერე ეს მოხდა ჩვენში, საქართველოში, სადაც
 ქართველ კაცზე ღამაშ მოსიარულეს, ბუნებრივ
 პრაპორციით შემკულ მოძრაობის შქმნეს ვერ-
 ჟერობით ბადალი არ ჰქვავს დედამიწის სურ-
 გზე. ქართველი დადის საუცხოოდ, ფეხს
 სდგამს გაბედულად, და არა ჩლუნგად, მოშე-
 ბული, რთვორც რუსი, და მთელი კორპუსიც
 გადააქვს თავისუფლად, სწორედ, ოდნავის რხე-
 ვით. სმაგვიერად რუსი ან ფინი სიარულის
 დროს კორპუსს აჟაფუნებს, მას გადააქვს უც-
 ადა, მოშეებულად უოველ ფეხის გადადგმასთან
 ერთად. ქართველს ფეხი გაშლილი დააქვს;
 ჩრდილოეთის ხალხი კი, ხრის უნებლიეთ იმ
 ფეხს, რომელზედაც კორპუსს ამუარებს, რომ
 შორე გადადგას აი აშიტომ მათი სიარული
 უფრო დათვის სიარულს, ე. ი. ძუნძულს წა-
 გავს. მე მუავს სახეში მდაბიო ხალხი—ჩვენი
 გლეხ-კაცობა. მიგაქრევით უურადდება ჩვენი
 გლეხი კაცისათვის, როცა ის, მავალითად, ხელს
 გათშეუთ, ტანს რა მოძრაობას აძლევს? ქარ-
 თველი წელს მხრებში კი არა ხრის, ე. ი. კი
 არ იკუხება, როგორც ჩრდილოეთის მცხოვრებლებ-
 მა იციან. წელ-გაშლილი სრულიად ოდნავ მთელ
 კორპუსს თქვენკენ იხრის, ფეხები გაშლილია, გა-
 ჭიმული უდგა და კისერა მკნენდიკულიარულად
 სერხემაღთან უჭირავს. ქართველის მოძრაობა
 ბუნებრივად ესთეტიურ კანონებს ემორჩილება.
 ღერწამივით ახლავს ქართველის მოძრაობა—
 წმინდა რითმიული მუსიკაა.

სულ სხვაა თეატრში. პირიქით ჩვენი მსა-
 ხიობის მოძრაობა უკეთაა. სიტუვა-გამოთქმუ-
 ლებას მოუფიქრებელ ზღასტიკას უდებს. მო-
 ნილოგი და ზღასტიკა დისკარმონია მსახიობის

თამაშობაში. აი სულ უბრალო მკვლევარი: მიართვით, განსაკუთრებით ახალგაზრდა მსახიობს, სკამი, სთხოვეთ დახრძანდეს და აღეხეთ თვალი. მისი სკამზე დაჯდომა უღამისო, უღაზათო მოძრაობა იქნება. უკლებლია იგი სკამთან ნახევარ არმინის სიშორეზე განედება, მოხრის დაბლა წელს და მერე დაეშვება.

აიღეთ აგრედვე ინტონაცია. ვის არ ებოძა ის ერთშეთევისებელი ხმაწობილება, რომელსაც მსახიობი ხმარობს. ჩვენს სცენაზე კაბატანებელი ინტონაცია — უფრო ცრუ კლასიკურს წაგავს. ოდნავ მომდერი, იგი აგებულ იქნა უსულთ ტემპზე. მსახიობი უბრალოდ ხმას აიმაღლებს წინადადების სიტყვაზე იმ გვარად, რომ მთელი დედა აზრი მხოლოდ მას ერთს სიტყვასთან მიაქვს. ცნობრებაში-კი, სწამებოდ, ქართველის ინტონაცია ჭიმნის ქართველთ სიტყვა-ზასუხის მშვენიერებისა.

ასეთია ჩვენი თეატრი. ახლა კითხვა იმაშია: შეიძლება არსებული ქართული თეატრი გარდაქმნას ნამდვილ ქართულ და მასთან მხატვრულ ეროვნულ თეატრად? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენი თეატრი ოდესმე ჭბავებს ნამდვილ სახეს ქართველ ადამიანისა? გადაჭრით შემიძლიან ვსთქვა, რომ ამა ცდა ჩვენი თეატრის გარდაქმნა იმ მხრივ, რა მხრივაც ჩვენი ერი ითხოვს; შეუძლებელია იმიტომ, რომ არსებული ქართული თეატრი ერთგვარ უკვე ჩამოყალიბებულ ტიპისა ბუნებით; იგია თვისებით თეატრი — გამრთობი*) (театръ развлеченія), ღვიძლი მია Comedié française-ისი, და რაგორც მის მონათესავე ტიპს, მასაც აქვს საკუთარი ერთგვარი გარკვეული რიტმი, რიგი-სტილი მსახიობისა, თავისი სკოლა, სისტემა და ამ რიგად უოვლად სამართლიანი, დიდ-ხარისხიანი თავის სფერაში, ბუნებრივად წინააღმდეგია; უშესაბამაო ახალ ეროვნულ დრამისა, ეროვნულ მხატვრულ თეატრისა.

ქართული არსებული სცენა იშვას სწორედ მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი განვითარება ის იყო იწყებოდა. ერთად ერთს სულიერად ცოტად თუ ბევრად მთლიანს და მატერიალურად შეძლებულ კლასს ჩვენი ბრწეინვალე თავადაზნაურობა წარმოადგენდა. ქართულ დრამას მოკლებული, იგი აარსებს თეატრს, რაგორც ერთ-

გვარ გსართობ ადგილს, უქვემდებარებს მას მწერლობას და ფარსიულ ხასიათს დედა-ბოძად უდებს. ამ ნიადაგზე წარმოშობილი თეატრი კიდევაც იზრდება, ვითარდება, მას დაუფონბლივ ხელს უწუბენ თავიანთ ნაწერებებით მთელი რიგი ნაჭიერ მწერლებისა მ.გ. ერისთავი, ანტონავი, ცაგარელი, ჯორჯაძისა; სუნი-დუკიანცა, გუნიას და სხვ. ქართული სცენაც იმ ხარისხს აღწევს, რომ ბადალი მას მთელს რუსეთში ბევრი არ მოეპოება. მასთანვე აღიზარდნენ მთელი რიგი დიდხარისხიანი მსახიობთა, შესისხლხორცებულნი ერთმანეთში ერთგვარ არტისტიულ თვისებით და ბუნებით. ამ გვარ ტიპის თეატრის წარმოშობა საქართველოში ისტორიულად ისევე კანონიერია, როგორადაც საქართოდ მთელ ევროპაში და ეს თეატრიც დღეს-დღეობით შეიძლება განვითარდეს, მაგრამ ახალ ეროვნულ თეატრად, იმ თეატრად, რომელიც უნდა შეიქმნეს მთელი ჩვენი ერის რელიგიოზურ ტაძრად. ამისათვის სულ სხვა ძალაა საჭირო: აღსდგება ერი, აღსდგება თვით თეატრიც, სხეტაკი ვით ქართული სული. თუ როგორ ფორმებში ან და რა პრინციპით უნდა ჩამოყალიბდეს მომავალი ქართული თეატრი, ამაზე ვეცდებით შემდეგში ცალკე წერილებით გავაგრძელო ჩვენი აზრი მკითხველს.

ალექსანდრე ახმეტელი

ქართველი ხელოვანი

(დასასრული. იხ. „თ. და ც“ № 25)

წინა წერილში შევეჩე საზოგადო ხასიათის მოსე თოიძის შემოკმედებისას. ახლა-კი გავკრით შევეჩები მის საუკეთესო სურათებს, სადაც ყველაზე ცოცხლად მეტყველობს მისი შინა, მისი უნარი.

„განთიადია“... აბა ჩაუკვირდით რაოდენი სიძნელეა იქ ძლეული, და როგორ არის გადმოცემული სიცოცხლის გაღვიძების პირველი საფეხური: თრთოლევა. გუშინდელ დღის სიავ-კარგე ღამის წყველიაში დაიკარგა, გაჰქრა, და შუღამის უკანასკნელ ამოსუნთქვას თ-ნ მოჰყვა პირველი სუნთქვა ახალი

*) სავსებით არ ვეთანხმებით. რედ.

დღისა. შავი ფერფლი ღამისა გაფანტულა და მის ნაცვლად ლურჯი, კამკამა ლეჩაქი გადაჭვარებია ქალაქს. ხოლო ამ სილოურჯესაც შეჰპარვია იის ფერი, მზის სხივებით წარმოშობილი, და შეუქმნა კამკამა ელ-ფერი სალი განთიადისა. მართლა ოსტატურად არის შესრულებული და ტეხნიკური სიძნელეც ძლიერი. მაგრამ იქნებ თქვენ მოგესურვოთ მართლა დაბეჯითებით დარწმუნება მის ოსტატობაში? იქნებ „განთიადის“ ბინდუნდის, „მწუხრის“ შედარება მოგესურვოთ, რადგან ძალიან ცოტაა მათ შორის განსხვავება და ამ განსხვავების ფერებით გადმოცემა ხომ ძნელიც. მაშ „მწუხრის“ გადავლეთ თვალი, შეადარეთ. „მწუხრის“ ტონებში სიკამკამეს ვეღარ დანახავთ. იგი წართმეულია და რის ნაცვლად ბინდის მტკერია მოფრქვეული. იქ, „განთიადში“ დღის პირველი შეფერხილებაა გადმოცემული, დღის პირველი სუნთქვა, აქ კი, „მწუხრში“ ქანცმიღებული დღის მთქნარება მოხაზული, სვედიანი ძილის მეტყველება. ხედავთ განსხვავებას? მაშ ხელოვანს გაუმარჯვნია, და იგიც მიტომ სიხარულის ღიმ ათამაშებული შესტკერის ნაყოფს გამარჯვებისას. ასეთივე ტეხნიკური ხერხის საჩვენებლად, ფერთა ოსტატურად ხმარების დასამტკიცებლად მოუზანია: „ჩრდილი ტუეში“, „ბავშვები ხიჯანზე“, „ძველი ბანაში“, „ძველი ქადაქი საქართველოსი“, და სხ... აბა შეხედეთ, თუ არ განიცადოთ სინახე ჩვენი მზის და მასთან ერთად მისი სიცხოველე, სიმწვავე, ჩრდილთა ჰეროვანობა და პაპნაქება შუადღისა, სიცოცხლე ერთდროულად ხანტი და ინტენსიური.

მშენიერია სურათი „სასაფლაო“. აქაც ორი წინააღმდეგი მხარეა დაპირდაპირებული. სასაფლაო დანგრეული საყდრით, დამძვლებული, ზერყენა ხეებით. საფლავს დასჩერებთან ჩვენი გლახება. აბა შეხედეთ რაოდენ ტანჯვაზე მეტყველებენ აწეული მხარები ორი დედაცისა, გულის სიღრმეში რომ იცრემლებიან, მაკრამ გლქო-კაკა ყველაზე შესანიშნავი. აბა დაატკერდით სახეზე. ტანჯვა კი ისახება, მაგრამ შებოჯილი, თითქოს

გონებას შეუბოჯავს ადამიანი, და არაძღვეს ნებას რომ სახეს, აბეჭდვინოს უბედურების ხმაურიო. მართლა რომ სტოიკური რამ დაქერლობა გეცნაურება მის სახეში. „ბედისწერა“ მორჩილება და იქიდან გამოწვეული თავდაქერა—ეს სტოიკოსთა პრაქტიკული მორალი თითქოს ამ გლახის პირველებში განხორცელებულა. იყ დაყრდნობია ჯახს, რომ თითქოს ამ მოძრობით სურს გითხრათ, „ჩა, სულ ერთიაო“. მაგრამ აბა იქით გახედეთ მზის სხივების თამაშ აპყალია პატარა ბავშვი. სიხარულით აღსავსე და დისონანსად ეჭრება ზემო სურათს. თუ ქვეყნად სიკვდილია—ეს არაფერი, სამაგიეროდ სიცოცხლეც ხომ მძღედ არის ამოძრავებული, და თუ ერთგან ცრემლის ღერა გეკარდება, სამაგიეროდ მეორე მხარეს მზის სხივები შეგვამშრალებენ ცრემლით სახე სევიდან თვალგებს.

მაგრამ იქნებ თქვენ ფანტაზია უფრო გაინტერესებთ, შემოქმედებთ თი ლალი ნაფარდი? მაშინ თვალი ააყოლეთ აგერ იმ დიდ ტილოს, „გარდაქმნის ტანჯვა-ტკივილები“ რომ დაურქმევია მხატვარს სახელად. აქ ორი მხარეა დახატული, ორი სამეფო. გუშინდელი სჯაღედ უნდა შეიცვალოს, და ამ პროცესის მთელი მძღეობაც მხოლოდ შემოქმედს დაწოლია, და აქი იგიც განიცადის ტკივილებს და იტანჯება. აგერ დაბლა ნანგრევებ ა, მათ შორის კი კაცთა გვამები მოყლებული. აგერ ცოტა იქით მგონია ბედის ჰუნე უნდა იყვცს მომაკვდავი. აქ რაღაც ღრმა ღრამა დატრიალებულა და თითქოს ამის ნიშნად აღმართულა რამ სვეტი ობელისკი ეჭური. ეს ხომ ეგვიპტელებს ჩეულებია იყო. მათ იკოდნენ ობელისკებს აღმართვა დიდი რამ შემეხვევის აღსანიშნავდ. აქვე მუხლის თავებზეა დაკეშული ვინე ქალი, ულონო, ქანცმიღებული, ალბად ყოფილი წყარო შემოქმედებისა, და ხელებს მტკრევით მდგომარეობის დრამატიზმს გვაგარძნობინებს. თვით შემოქმედელი კი, ქედმოხრილი, მარკალული ზის, თითქო სურს ფორმა დაიკარგოს, დასგვალდს და ტკივილები აღარ შეეხოს, სირგვალემ აისხლიტოსო. ამ მოხრილ ქედში იმისთანა ტანჯვა და ვნებათა-ღელვა ისახება,

რომ ჩვენ კარგად ვიგებთ მხატვრის განზრახვას. იქ-კი, მიღწეა ღრუბელთ არეული სისქე ცეცხლის ხაზი გაჭრილა, და გამოძიკრთალ მზის ხაზზე გამოცურებულა მოცეკვავე ქალის თეთრი რამ ლანდი ხალისიანი. ეს ახალი გზის სიმბოლოა, ახალი ქვეყნის მიმზიდველი სანახაობა. აქეთ-კი, ღრუბელთა ტრიალ მოქმედებაში აღმართულა დიდი ტაძრის მკრაალი სახე, ჯერ გამოურკვევლობის ლეჩაქ-გ დაფარებული. ეს მომავლის ტაძარა, ჯერ არ ნახული. მაგრამ მალე მზის სხივა დასწვავს ამ ლეჩქს, ხელოვანი იხილავს ახალ მხარეს და იგემებს შემოქმედებითი სიხარულს ეს სურათი მისი ფანტაზიის მწვერვალია. ნაკლებ ძლიერია ეს ფანტაზია „მესაიდუმლოში“ მაგრამ მარც სურათი მთლიანია, ღრმა. ხოლო რაც შეეხება „მეჩანს“, აი საღ იყო საქირო ლალი ნავარდი, ფანტაზიის აღვირ შევებულობა, და სწორედ აქ მოუჭირა ლაგამი ჩვენმა ხელოვანმა. ფანტაზიის სიძლიერე ამ მერანში არა სჩანს, აქ უფრო სინამდვილეა ტილოზე გადმოღებული. საღ არის ტიტანი? ან ფრენა უგზო-უკვლოდ? მოსე თოიძის „მერანი“ ჩვეულებრივი იორდა, ცხენია, ჩვეულებრივი მხედართ. მას მალე მოეკიდება დაღლა და მუხლიც მოეკვეთება. კლდეღრეს ფრენით იგი ვერ გადივლის. აგერ ჯერ შარა გზაზევე დალილა და ფრუტუნებს. ფონი სურათის რაღაც ყომრალი—საუცხოვოა. ვისაც უნახავს ა. მრველიშვილის „მერანი“ დამეთანხმება, რომ ის „მერანი“ ბევრად უფრო შეეფერება ბარათაშვილის „მერანს“, ვიდრე თოიძის ნახატი. მაგრამ თქვენ გინახავთ მოსე თოიძის ტ-პები? საუცხოვონი არიან „ხევისური“ და „დურგალი“. აბა შეხედეთ იმის ცერს, ჩიბუხს რომ თამბაქოს უმარჯვებს და სტკეპნის. ხევისური ისე ცოცხლად ატკაპუნებს ტუჩებს, რომ თავის რკინის კაცობას გაგრძობინებთ. ფიქრობს ხევისური—ვინ იცის რაზე? განა ცოტა აქვს აღამიანს საფიქრებელი? ყურადღებას იქცევს „გეორგი XII“! კოლორიტი საუცხოვოა და აზიურ სინამდვილის ბეჭედს ასვამს. საერთოდ კი სურათი დაუმთავრებელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

სურათი თა სათითაოდ ჩამოთვლის დავანებოთ

თავი. დავკმაყოფილდეთ საერთო თვალის გადავლებით, საერთო ხასიათით. აქ-კი საყურადღებო ის არის, რომ ჩვენს ხელოვანს მოუსურვებია. ეროვნულ ნიადაგზე დგომა და ასე მთელ კაცობრიობასთან კავშირის დაქერა. სწორე გზა ამოურჩევი. იგი თავს ევლება საქართველოს ყოველ კუთხეს, ჰხატავს მის მრავალფეროვან სახეს და სწავლობს ფერა საიდუმლოებას. საქართველოს უხვი ბუნება დიდად აოსტატებს ხელოვანს. და იგიც ჰხატავს დედა საქართველოს წიაღიდან ამოკრებილ სიუყეტებს. გვიდგენს თვალ-წინ ბუნების სხვადასხვაობას, გვიშლის ჩვენი ისტორიის ფურცლებს, გვაფიქრებს, გვატკაობს, გავგნათებს პერსპექტივას და ერთდროულად ორმაგ საქმეს ემსახურება. ერთია ხეოდნება და მეორე—ეროვნება. ორივე ერთად შეადგენს მოსე თოიძემ, და მიტომ ეროვნულ ხელოვანის სახელს ველარავინ წაართმევს. ბევრი მისი სურათი ქართულ მუხუდში მოსძებნის ბინას და იქ დარჩება მეტყველ ხატად. გადაგვიშლიან მხატვრულ სამეფოს. და ასე მხატვრულად ჩვენს ეროვნულ ვითარებასაც გვეტყვიან ფერადლა ენით. მ. თოიძის შემოქმედებაც სხვებთან ერთად მტკიცე ქვად დაედება იმ საქარკველს რომელზედაც უნდა აშენდეს ლამაზი ტაძარი ქართული ხელოვნებისა. რა ვაცი იქნებ ახლო იყოს ის დრო, როგორც მომავალის ტაძარი მისვე სურათში: „განდაქმნის ტანჯვა-ტკივილები“. იქნებ ჩვენი ხელოვნების მუზა-ღმერთი უკვე მოცეკვავს მზის სხივებზე, როგორც იმავ მოსე თოიძის სურათშია ნაჩვენები. იქნებ ჩვენი ერიც იმავ „გარდაქმნის ტანჯვა-ტკივილებს“ განიცდის დღეს, რასაც ახალი ცხოვრება დაავირობინებს? მე ასე მგონია. ნიწნები უკვე არის თვით თოიძეც, თავის მოზარდ ნიჭით და ხელოვნებით ამ იმედს აძლიერებს და თავის მზრივაც უხვად გვაწვდის ვარდის ფერებს მომავლის დასახატად... და მიტომაც უსურვებ ჩვენს ხელოვანს უკეთეს მერმისს და სრულ გამარჯვებას.

ვან. კოტეტიშვილი



ქართული სახეობა

სახალხო სახლში ბაბათს, 27 ივნისს სცენის მოყვარებმა „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“-ის წარმოდგენით შართლა და რაც გინახავს—ვეღარ გეჩვენებს. ვ. გამყრელიძის (გიჟუა), ვ. ნინიძის (იმერელი მსახური), გ. ანაშვილის (ავეტიქია), ვ. რატიშვილის (მოურავი) და ი. მინდიაშვილის (მებატონე) გარდა თითქმის ყველანი კარიკატურებს მოვაგონებდნენ. წამოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო, —სარედაქციო ბილეთებიც კი გაყვიდათ.

წ. გომელაურმა და ბ. შანშიაშვილმა

სახალხო სახლში კვირას, 28 ივნისს, მრავალფერადი საღამო გამა თეს: წარმოდგენილი იყო სერიოზული დრამა, ვოდევილი, სიმღერები, ახალი შარეი-პიესა და სხ. „სისხლის ლაქა“-ში ც. ამირჯიბმა ტანჯული სულის სიმები ხელოვნურად ამეტყველა, შესაფერი იყო ალ. შანშიაშვილიც, მაგრამ სჩანს გრიმის გაკეთება ჯერ კიდევ ვერ შეუსწავლია, რაიც აუშნობდა. გვლევანოვმა ექიმის სრული ხატება შექმნა. „არც აქეთ არც იქით“-ში ვასო აბაშიძემ კიდევ ერთხელ გვიჩვენა თვისი ჯადოსნობა: ჩვენი სცენის ამ შვენებას თითქო სცენაზე გამოსვლა უეცრად ვების ნექტრად მოგაკუთრება ხოლმე. თქმა არ უნდა, ალ. იმედაშვილი მშვენიერო ვარაყინჩაქე იქნებოდა; ალსანიშნავია აგრედვე მეჩემის ბიჭის როლის აღმასრულებელი და რ. ჯიბლასის მიერ ნიჭიერად გაპირვინებული იერული ბიჭი. ჩვენი საყვარელი მომღერალი ი. სარაჯიშვილი რომ თავის ზნეს მოიშლიდეს —ქართულ თეატრში, ქართველი ხალხის წინაშე უცხო რომანსების მღერას, მაშინ, როდესაც მშობლიური რეპერტუარიც მღერადი აქვს, გაცილებით უჯობს: ქართველ საზოგადებას მშობლიური ჰანგების მოსმენ უფრო სწყურიან და ნუ აუგებურებთ... ვ. გუნიას შარეი-პიესამ (ფრანც-იოსები—ვ. აბაშიძე, ალ. იმედაშვილი—ვილჰელმი და ს. რომანიშვილი—მაჰმუდი), სიმღერაცკვით, სინათლის ცვლებადობით წარმოდგენილმა, ბევრი აცინა დამსწრენი. ბოლოს რ.ჯიბლაძემ მოხდენით წარმოსთქვა თვისი შინაარსიანი და დროს შესაფერი სცენები. დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

შსაგანო

მსახიობა ი. შიშიძის გამგეობით

სახლში ისტორიულმა „და ძამა“, არა ისტორიული სტილით წარმოდგენილმა, უგებურად ჩაიარა. ბ-ნ ეივიძეს ალღო აუღია, რომ ისტორიული პიესები ხალხს უყვარს და განსაკუთრებით „ისტორიული რეპერტუარით“ უმასპინძლებდა საზოგადოებას—ხალხს. ეს ძლიერ კარგია, მაგრამ ის კი არ ვარგა, რომ თითქმის ყოველად მუუზადებლად და უგერგოლოდ სდგავს პიესებს. მსგავსი წარმოდგენებით ვნების მოტანა უფრო შეიძლება, ვიდრე სიკეთის. ეს მით უმეტეს სამძიმოა, რომ ასეთ წარმოდგენებს უმეტესად მდაბიო ხალხი. მოწაფენი ესწრებიან და დასწიაც ცნობილი მსახიობნი

მონაწილეობენ. მეტი პატივი ჩვენს ისტორიას, ისტორიულ პიესებსა და ხალხს. ამავე მსახიობის თაოსნობით სამშაბათს, 30 ივნისს, წარმოდგინეს „თამარ ბატონიშვილი“. ვალ. გუნიას (ელიზბარ ერისთავი) და ალ. იმედაშვილის (შალვა) გარდა თითქმის ყველანი მოისუსტებდნენ. ხალხი ამ წარმოდგენასაც ბევრი დაესწრო. უკეთესი შთაბეჭდილება დსტოვა მეოთხე მოქმდებამ (საპატიმრომ), განსაკუთრებით ვ. გუნიას და ალ. იმედაშვილის მოწყალოებით. **წინამძღვარი**

სალ. შორაპანში

13 ივნისს, ადგილობრივ თეატრში ვ. არაბიძის რეჟისორობით და ბ. შესტანოვიჩის თაოსნობით ახლად შემდგარმა სცენის მოყვარულთა ჯგუფმა რუსულ-ქართული წარმოდგენა გამართა. რუსულად წარმოდგინეს „Жертва Эгоизма“-ი. კ. ლისენკო-კომიჩისა; ქართულად „ღედის ერთა“,—ვ. გუნიასი. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. მონაწილეობდნენ: ვ. არაბიძე, პ. ვლადიმიროვი, ა. წულუკიძე, ა. კახეთელიძე, ო. არეშიძე ცაგურია, ჩილავა, და სხ თავისი თამაშით საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა განსაკუთრებით ოლ. ალ. არეშიძის ასულმა (ქართულში იოსამის ღედის როლში). ხალხი ბლომად დაესწრო და დიდად ნასიამოვნებიც დიშალა. წარმოდგენის მეთაური დიდი მადლობის ღირსნი არიან. იმედია კვლავ არ დაიფრწყებენ ისედაც ყოველგვარ გასართობს ჩამოშორებულ ხალხს და აგემებენ მადლიან წყაროს ცხოვრებისას. საჭიროა წარმოდგენებზე შესასვლელი ფასი იაფი იყოს, რომ მდაბიო ხალხმაც შესძლოს დასწრება და შორი-ახლოდან არ შეჭყურებდეს მათ, ვინც წარმოდგენით სტებება. **ბ ტი**

დ. ხაშურში

ი. ზარდალიშვილი შარშანდელივით ჩვეულებრივის ენერგიით შეუღლა ხაშურში და მის ახლო ადებარე დაბებში წარმოდგენების მარ ვის საქმეს, ხაშურის ქართულ დრამ. წრის გამგე ბას გადაწყვეტილი აქვს, ამ ზაფხულს ყველა თვალსაჩინო დაბა-სოფელში (გორის მაზრაში) ქართული იაფფასიანი სახალხო წარმოდგენები ჰმართოს. ამ მიზნის შესაფერი რეპერტუარი უკვე შეიმუშავა. წარმოდგენები გაიმართება: დ. ბორჯომს, სურამს, სოფ. გომს, ქარელს და ავლეგში.

დ. ხაშურის სახამთრო თატრში 13 ივნისს ითამაშეს ნ. შიუკაშვილის 4 მოქ. დრამა „სიმინჯი“. ს ბას როლი ბ. ზარდალიშვილმა ჩინებულად ჩაატარა. სონას როლს ასრულებდა ქ. შოთაძე, რომელმაც დაკვირვებით განასახიერა თანამედროვე; გონებით გაცილებულ, ფიზიკურად დაავადებულ ქაოთველი ქალის ტიპი. დარეჯანის როლში შეუდარებელი იყო ქ. ელენე კიმაკურიძის ასული, რომელიც პირველად გამოდის ხაშურის სცენაზე და როგორც ნიჭიერმა სცენის მუშაკმა საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებელზე. ადგილობრივი სცენის მოყვარენი: ქეთო კალა-

ძე, თ. აფხაზიშვილი, ვ. ხოზბერაშვილი, გ. ვეზირიშვილი, დ. ძნელაძე, მ. კვალაიშვილი, კალანდარიშვილი, ძიძიგური და გ. სულიაშვილი—ნაკისრ როლებს სინდისიერად ასრულებდნენ წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. ხაშურის სახანოში სცენა დროებით იხურება და წრეს მოქმედება საზაფხულო თეატრში გადააქვს, სადაც მშვენიერი და ფართო სცენა მოწყობილია.

ნიკო გურული

ოჯუგათის თეატრის აგებ-ს წლისთავის შესრულების გამო აღგლობრიგმა სცენის მოყვარებმა დადგეს „ციმბირელი“ და „მოფუჩხულია“. უნდა აღვნიშნოთ საერთოდ, რომ ოჯუგათში ამ ბოლო ხანებში წარმოდგენები იყუებოდა აღარ იმართება. თუმცა ელექტრო-თეატრში სინემატოგრაფიულ სურათებს ყოველთვის აჩვენებენ, მაგრამ ეს კიდევ ვერ აკმაყოფილებს ოჯუგათის საოჯუგათებას დაამისათვის წარმოდგენას ჩვეულებრივ მეტი ხალხი დაესწრო წარმოდგენამაც თუ მხედველობაში მივიღებთ სცენის მოყვარებებს, მწყობრად ჩაიარა. კარგად განსახიერებს თავიანთი როლები ქ.ნ. ფ. ლომინაძის ასულმა, ბ. ბ. გ. მუმლაძემ (მაზუთიანი), გ. გოგოტიძემ (ციმბირელი), ივ. დემურაძემ, ნ. დოლიძემ, კ. აბაშიძემ. წარმოდგენა საერთოდ მსმენელებზე ფარიანი შთაბეჭდილება დასტოვა. ნ. დოლიძე რომ ზედმეტ მანჭიობაზე, უადვილოდ კაპების შეკრებაზე ხელს აიღებდეს—სჯობა. მაკლამის ღირსია ბ. გოგოტიძე, რომელმაც საუცხოო თეატრი ააგო და ყოველმხრივ ხელს უწყობს სასცენო ხელოვნებას.

3. ბ.—ლი.

წვერილი ამბებები

◆ **ქართული წარმოდგენების მართვა** სახალხო სახლში 30 ივნისს დასრულდა „თამარ ბატონიშვილის“ წარმოდგენით.

◆ **ბაქოს ღრამ. წრის თავმჯდომარე** მ. თავთაქიშვილმა ბაკუციხიდან წადგერს გამოიწვია რეჟისორი შალვა დადიანი, რომელსაც მოელაპარაკა ბაქოს მომავალი სეზონის (დასის, რეჟისორის და სხ.) შესახებ.

◆ **„ჰარსტიმეს“ აქრანზე** გადასადებად კინემატოგრაფის ერთმა ცნობილმა ფირმამ მიმართა ალ. წუწუნავასა და ალ ახმეტელს, რომელთაც ეს საქმე იკისრეს. ხსენებულ პირთ განუზრახავთ ქრისტიანებს სურათები ალაგობრივ გადილონ (გურიასა და თბილისში—ორთაქალაქში).

◆ **ქართულ ქალთა საჩაიმი—„ქმრ ნუგაშვი“** დადგეს როიალი. განუზრახავთ მოიწვიონ ხოლმე ცნობილი მოღვაწეები სტუმრების გასართობად. 25 ივნისს აქ პირველად იმღერა ახ. ლგაზა მომღერალმა დავ. ლეჟავამ. საჩაიო ხალხით გაჭედული იყო.

◆ **მგალოგალ-მომღერალთა ლობჯარის** **ი. გომიკაშვილის** ორმოცის წირვა-პანაშვიდი დანიშნულია სადღესობად წმ. მარინეს ეკლესიაში

◆ **ილიას სურათი** სახალხო სახლში დღემდე არა ყოფილა გამოკიდული. როგორც ისმის, ფიქრობენ შემოდგომიდან ჩამოაკიდონ.

◆ **მსახიობი ზ. გომელაშვილი** თელავს მიიწვიეს ორ წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად.

◆ **მოქანდაკე ი. ნიკოლაძე** ამზადებს ბრინჯაოს დანებს, ტარზე გამოქანდაკებული აკაკის სახით, წიგნების საჭრეოდა. მასვე განუზრახავს გამოქანდაკოს თაბაშირის აკაკის პატარა ალაღმანი ხალხში გასავრცელებლად.

◆ **გომსანი ს. ფაშალიშვილი** სწერა პოემას „დაწყველილი სახელი“.

◆ **გომსან ვაშაფაშაველას** თანდათან უკეთესობა ეტყობა, ფერდის ერთი მხარე თანდათან უშრება. მაგრამ ავადმყოფი ვერ კიდევ უნდა იწვეს.

◆ **მსახიობი ვ. ალუღიშვილი** მოსკოვის მიდის მოსკოვის სამხატვრო თეატრის კურსებზე სამსახიობო ცოდნის განსავითარებლად.

◆ **გ. ფოცხოველის (თავ.გ. მ. ხერხეულიძის)** ნაწერების გამოცემა განუზრახავს მისს ქვირის.

◆ **მომღებლის ბაკალია**, უკანასკნელი პიესა გმირულად დაღუპულ გ. ფოცხოველისა (გ. მ. ხერხეულიძისა), რეგობართა შორის დაიკარგა. მწერლის ქვირი, კნ. ქ. დ. ხერხეულიძისა თხოულობს, თუ ეს პიესა ვისმეს მოეპოვება, „თეატრი და ცხომების“ რედაქციას წარმოუდგინოს კრებულში დასახებლად.

◆ **კოოპერაციის შესახებ** ლექციებს კითხულობს სახალხო სახლში ცნობილი ლექტორი ტოტომიანიცი, საღამოობით 7—10 ს.

◆ **მარტყოფი** გ.სულ კვირას წარმოადგინეს „პატარა კახ“. პიესამ სუსტად ჩაიარა.

◆ **პირველი საბავშვო საღამო „ახალ კლუბში“** გაიმართა კვირას, 28 ივნისს. საღამო შინაარსიანი იყო და ბავშვებიც კმაყოფილი დაიშალნენ სამწუხაროდ ბბ. მამასახლისებს შესასვლელი ფასი ეწვივნათ, რამაც ბევრ ბავშვს შეუშალა ხელი საღამოს დასწრებლად. კარგი იქნება შემდეგში მაინც ანგარიში გაუწიონ ხელმოკლე ბავშვთა მოთხოვნილებას.

◆ **ქართ. საეთნოგრაფიო და საისტორიო** საზ-ის კრებაზე, დეპუტ. საკრ-ში, 28 ივნისს პრივატ-დოცენტმა ი. ყიფშიძემ ფრიად საყურადღებო მოხსენება წაიკითხა „მეგრეთა ზნე-ჩვეულებათა და ცრუმორწმუნებათა“ შესახებ. კრებაზე სურველი გამოითქვა, შეიკრიბოს საქართველოს სხვა და სხვა კუთხის ზნე-ჩვეულებანი

◆ **არცხიზაშვილის პიესა „იზვიანობა“**, დრ. ნ. მოქ., ქართულად სთარგმნა ს. ხანდეველი.

ახალი გაგონება
უკვლახათვის საჭირო და სახარებლო წიგნი

უცხო სიზმართა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორედ შეესწავლულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნი ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩამული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქოვილი-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება; ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნის გამოსვლის ჟამს).

ხელის მოწერა მიიღება: ეურ. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში „სორაპანი“-ს სტამბაში). ფოსტით: Тифлись. Ред. „Театри да Цховреба“ Иос. Имедашвили.

წელიწადი
მასაზმე

მიიღება ხალმონიკა 1915 წ.
უოველკვირეულ სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ეურნალ

წლიურად 5 მ.
ნახევარი
წლით 3 მან.

„თეატრი და ცხოვრება“-ზე

იუმორისტულ განყოფილებით და შარყებით

„თეატრი და ცხოვრება“ უოველგვარ ჯგუფრ-დასურ მიმართულების გარეშე ეურნალი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს სცენის, სიტყვა-კაზმულ მწერლობის, მუსიკის, ქანდაკების, სამხატვრო-სახელოვნო და საზოგადოებრივ მოვლენათა გარკვევას. უოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა.

ფ ა ს ი: წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., 1თვ. 40 თითო ნომერი 10 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 2 მ., მარტის გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

ელმოწერა მიიღება: რედაქციაში (სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ეურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად“-ში, „ცოდნახ“ წიგნთსავექროში, რკინის გზის სახელოსნოში—აღ. ქაძიმიასთან, ქუთაისში თ. მთავრიშვიდის წიგნო სავაჭროში ხ. ეპიტაშვილთან

მიიღება განცხადებანი ეურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი: 1 გვ. ორიგებით, 2, გვ. კორპუსის პწკარი ერთ სვეტზე 25 კ. 3-ზე—20 კ, 4-ზე—15 კ. ფული და უოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлись. Ред. „Театри да Цховреба“ Иосифу Имедашвили

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

თეგზის მრეწველნი

კმ.



კმგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ. № 9
ტელეფონი № 71-2.

განყოფილება

ავლაბარში

ფოსტის განყოფილების შვიშ
საკუთარ სახლში

იყიდება

იმავე ხარისხის

საქონელი

როგორც პუშკინის ძუჩაზე

ნომრები „აპროკრა“

ახლად შეკეთებულა, საუცხოოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ევრონცოვის ძეგლთან. ნომრები ოთხი აბაზიდან, ნომრებში სამზვარეულო, ცხელი და ცივი წყლითსაბანოებით (დუში და ვანა).

თბილისი, შიხვილის პროსპ. № 5.

ტელეფ. 13—14 (7)



მიიღება ხელის მოწერა.

აბა 1915 წ. ენკენისთვის დანაზღვრული სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო უოვედლთვიური ჟურნალი

„ახალი მოამბე“

ჟურნალი პარტიითა გარეშეა, დემოკრატიულ-პროგრესიული მიმართულებისა ჟურნალში უმახლობელდგ მონაწილეობას მიიღებს ივანე სპ. ელიაშვილი, თანამშრომლებად მოწვეულნი არიან ჩვენი ცნობილნი მწერალნი ჟურნალში დასაბეჭდად მოწონებულ ნაწარმოებთა ავტორებს მიეცემათ შესაფერი მონორარი.

პირველი ნომერი გამოვა ენკენისთვის 20—25—დღე, ზომით 15—20 ფორმატე ჩედაკეის ბინა: თბილისი, ვაზბეგის ქუჩის შესახვევი № 4. ფოსტით: Тиф-ლისь, ред. груз. жур „Ахали Моамბე“.

ფასი: წლიურად 10 მ., ნახევარი წლით—6 მ., ხოლო ამა წლის ენკენისთვის დანაქრისტიანობისთვის გასვლამდე—4 მან. ფული უნდა გამოივზავნოს: Тиф-ლისь, редакция груз. жур. „Ахали Моамბე“ Ивану Спир. Элиашвили.

რედაქტორ-გამამგებელი ეფ.ოი ბ დანანს უიფიანი